

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ბატონ ბიძინა ივანიშვილს

05 თებერვალი 2013 წელი

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების
რეკომენდაციები

“პარტნიორობა ღია მმართველობისთვის”

(Open Government Partnership)

საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

დამუშავებულია:
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ

“პარტნიორობა ღია მმართველობისთვის” საქართველოს სამოქმედო გეგმა

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება ახალ მნიშვნელობას სძენს სიტყვას “დემოკრატია”, “პარტნიორობა ღია მმართველობისთვის” წამყვანი პროექტი გახდა მსოფლიოს მასშტაბით უფრო გამჭვირვალე, ღია და ანგარიშვალდებული მთავრობების შექმნისთვის.

აღნიშნული გლობალური ინიციატივა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წამოიწყო იმის სადემონსტრაციოდ, რომ იგი მზად იყო შეექმნა “მთავრობის გამჭვირვალობის უპრეცედენტო ხარისხი”. 2010 წლის 23 სექტემბრის მიმართვაში ობამამ გაეროს გენერალურ ასამბლეას მოუწოდა ჩამოეყალიბებინათ “კონკრეტული ვალდებულებები გამჭვირვალობისთვის ხელის შეწყობისთვის” და მოუწოდა სხვა ქვეყნების ლიდერებს შეერთებოდნენ მას დემოკრატიული მთავრობების ღიაობის ხარისხის გაუმჯობესებაში, კორუფციასთან ბრძოლასა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებაში.

ინიციატივის ოფიციალური გახსნა 2011 წლის 20 სექტემბერს ნიუ-იორკში. მოეწყო ინიციატივის 8 დამფუძნებელმა წევრმა (ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ნორვეგია, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, გაერთიანებული სამეფო და აშშ) ხელი მოაწერა ღია მმართველობის დეკლარაციას და წარმოადგინა თავისი სამოქმედო გეგმა. დამფუძნებელი წევრების წარმომადგენლები ასევე მიესალმნენ 38 ახალი წევრის ჩართვას ინიციატივაში, რომელთა შორის იყო საქართველოც.

OGP არის მნიშვნელოვანი ინიციატივა წევრ ქვეყნებში ინფორმაციის თავისუფლების, საჯარო სექტორის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების შემდგომი ზრდისთვის. ინიციატივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის, რომლის მთავრობასაც დეკლარირებული აქვს დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისკენ სწრაფვა. ამავე დროს, OGP-ს ვალდებულებების შესრულება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის, რისი სურვილიც საქართველოს მთავრობამ მრავალჯერ გამოხატა.

შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ღიაობის, გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის ახალი სტანდარტების დამკვიდრებას. სწორედ აღნიშნული მიდგომები დაედო საფუძვლად ღია მმართველობის დეკლარაციას და ფორმულირებული იქნა ოთხი ძირითადი მიდგომით:

1. მთავრობის საქმიანობის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე მეტი ხელმისაწვდომობა (Increasing the availability of information about governmental activities);
2. სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა (Supporting civic participation);
3. პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრება სამთავრობო ორგანოებში (Implementing the highest standards of professional integrity throughout our administrations);
4. თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის გაუმჯობესებით ღიაობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა (Increasing access to new technologies for openness and accountability).

კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით შეიმუშავა რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც მიეწოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (პარტნიორობა ღია მმართველობის თემას საქართველოს მთავრობის მხრიდან კურირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში). გაიმართა

კონსულტაციები, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა კოალიციის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციათა ნაწილი.

2012 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ.

2012 წლის 17-18 აპრილს გაიმართა OGP-ს წევრების პირველი წლიური შეხვედრა ბრაზილიაში, რომელსაც დაესწრნენ დელეგატები 53 ქვეყნიდან. მონაწილე მთავრობებმა წარმოადგინეს თავიანთი სამოქმედო გეგმები და აიღეს კონკრეტული ვალდებულებები გამჭვირვალობის ხელშეწყობის, კორუფციასთან ბრძოლის, სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერის და მთავრობების ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის. ბრაზილიაში საქართველომ სხვა ქვეყნებთან ერთად წარადგინა თავისი სამოქმედო გეგმა.

პარტნიორობა ღია მმართველობის ფარგლებში მთავრობების სამოქმედო გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულებები უდნა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

1. **საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; (Improving Public Services**—measures that address the full spectrum of citizen services including health, education, criminal justice, water, electricity, telecommunications and any other relevant service areas, by fostering public service improvement or private sector innovation)
2. **საჯარო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა; (Increasing Public Integrity**—measures that address corruption and public ethics, access to information, campaign finance reform, and media and civil society freedom)
3. **საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; (More Effectively Managing Public Resources**—measures that address budgets, procurement, natural resources and foreign assistance)
4. **უსაფრთხო გარემოს შექმნა. (Creating Safer Communities**—measures that address public safety, the security sector, disaster and crisis response, and environmental threats);
5. **კორპორატიული ანგარიშვალდებულების გაზრდა; (Increasing Corporate Accountability**—measures that address corporate responsibility on issues such as the environment, anti-corruption, consumer protection, and community engagement).

OGP-ის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას.

საქართველოს მთავრობის მიერ OGP-ს სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესს მონიტორინგს უწევს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომელიც იკრიბება თვეში ერთხელ და ისმენს ანგარიშს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2012 წლის განმავლობაში პარტნიორობა ღია მმართველობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებებს შორის გათვალისწინებულ იქნა "კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის" მიერ შეთავაზებული შემდეგი წინადადებები:

1. 2012 წლის მაისში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ცვლილებების თანახმად, საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ვებ-გვერდებზე 2013 წლის 1-ლი სექტემბრისთვის;
2. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად 2013 წლის 1-ლი სექტემბრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით;
3. ტესტირების რეჟიმშია გაშვებული საიტი www.data.gov.ge, რომელზეც უნდა განთავსდეს ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია სახელმწიფო ფინანსებისა და ბიუჯეტის შესახებ;
4. www.data.gov.ge -მ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებიდან;
5. 2013 წელს უნდა შეიქმნას სამოქალაქო პლატფორმა ichange.ge რომელიც ხელს შეუწყობს ახალი იდეებისა თუ საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვას, და შექმნის ქვეყანაში ახალი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულ სივრცეში ინტეგრირებული უნდა იყოს სამოქალაქო პეტიციების წამოყენების საშუალებები მათი შემდგომი სავალდებულო განხილვის წინაპირობით.

თუმცა, ჩვენის აზრით სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს კოალიციის მიერ შემუშავებული ის რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის ახალი სტანდარტების დასამკვიდრებლად. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. ღია მმართველობის უზრუნველყოფისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის დახვეწა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შემუშავება.

2. გამჭვირვალე საჯარო სამსახურის შექმნისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირებისა და ეფექტური მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება.
3. გამჭვირვალე კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და ამ პროცესში მოქალაქეთა მაქსიმალური ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა; საკანონმდებლო ორგანოების ანგარიშვალდებულების მაქსიმალური გაზრდა.
4. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მათ შორის ბიუჯეტის დაგეგმვისა და მისი შესრულების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ეფექტური სისტემის შექმნა.
5. ვებ-გვერდების შექმნა/სახელმწიფო დაწესებულებათა არსებული ვებ-გვერდების გაუმჯობესება, სადაც მოქალაქეებს გამარტივებულ ფორმატში საშუალება ექნებათ მიიღონ შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.
6. სამოქალაქო ჩართულობის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები

I. პარტნიორობა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელების მაკონტროლებელი ორგანო საქართველოს მთავრობაში

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული იქნას სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები. კერძოდ:

1. გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქმიანობების შეფასების ინდიკატორებს.
2. მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის დაფინანსების წყარო.
3. აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ ღონისძიებაზე გათვალისწინებული იქნას შესაძლო რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლებელია დააბრკოლოს განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება.

„ღიაობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „პარტნიორობა ღია მმართველობის“ ინიციატივაში საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების უკეთ იმპლემენტაციის მიზნით, აუცილებელია აღნიშნული მიმართულების ზედამხედველობა გადავიდეს უშუალოდ საქართველოს პრემიერ მინისტრის/მთავრობის კურირების სფეროში. საქართველოს მთავრობამ „პარტნიორობა ღია მმართველობის“ სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების განხორციელება დაავალოს იმ უწყებებს, რომელთაც ამისთვის შესაბამისი კომპეტენცია, ასევე ადამიანური, ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსი ექნებათ.“

„პარტნიორობა ღია მმართველობის“ საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს უშუალო კონტროლს უნდა უწევდეს საქართველოს მთავრობა.

პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს მთავრობის კანცელარია

განხორციელების ვადა: 2013 წლის თებერვალი

II. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა/შემუშავება

ღია მმართველობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით აუცილებელია საქართველოში არსებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გადახედვა, რაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მეტ ხელმისაწვდომობას. ამ მიზნით აუცილებელია მოხდეს ინფორმაციის თავისუფლების და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლიანი და კომპლექსური რევიზია, სამართლებრივი აქტების სრულყოფის, მათ შორის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაციის მიზნით:

1. სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობისა და კონსულტაციის ფორმატში მოხდეს საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების სრულყოფა - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი (მაგ. ინფორმაციის თავისუფლების დავებზე ბაჟისგან განთავისუფლება, საჯარო მოხელეთა და თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების ღიაობის ცალსახად დადგენა, ინფორმაციის დამუშავების კონკრეტული მექანიზმების ვალდებულების ცალსახად დადგენა და სხვა).

2. გადაისინჯოს და აუცილებლობის შემთხვევაში დაიხვეწოს ის საკანონმდებლო ნორმები და პროცედურები, რომლებიც პრაქტიკაში ართულებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (მათ შორის მომიჯნავე კანონმდებლობა);

3. დაიწყოს საჯარო კონსულტაციები კანონ-პროექტზე - „საქართველოს კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ ;

ჩამოყალიბდეს სამთავრობო ჯგუფი, რომელიც კომპეტენტურ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად იმუშავებენ საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველო მთავრობის კანცელარია / იუსტიციის სამინისტრო
განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის მაისი

III. გამჭვირვალე საჯარო სამსახური

- გაუმჯობესდეს მამხილებელთა (whistleblowers) დაცვის კანონმდებლობა და ამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ ორგანოთა შიდა სახელმძღვანელო პრინციპები.

აღნიშნული ვალდებულება, კერძოდ, გულისხმობს მამხილებელთა დაცვის კონკრეტული მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავებას.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველო მთავრობის კანცელარია/იუსტიციის სამინისტრო/საჯარო სამსახურის ბიურო.

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი

- გაფართოვდეს იმ თანამდებობის პირთა სია, ვისი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებიც ექვემდებარება დეკლარაციების საძიებო სისტემაში გამოქვეყნებას - www.declaration.ge (ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი და მათი მოადგილეები, საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეები, სამინისტროების ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სახელმწიფოს 100 % წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელები).

აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს - "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში" და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში - "თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება".

პასუხისმგებელი ორგანო: საჯარო სამსახურის ბიურო

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის მარტი

- შეიქმნას საჯარო თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების აუდიტის სისტემა. აუდიტის ვადები და ინფორმაცია აუდიტის შედეგების შესახებ უნდა გახდეს საჯარო. სავალდებულო აუდიტი აგრეთვე უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ თანამდებობის პირის დეკლარაციის გადამოწმების მოთხოვნით საჯარო სამსახურის ბიუროში შესული იქნება ფიზიკური / იურიდიული პირის დასაბუთებული მოთხოვნა, აუდიტის საფუძველი შეიძლება აგრეთვე გახდეს მედია სამუშაოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

პასუხისმგებელი ორგანო: საჯარო სამსახურის ბიურო

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი

- საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მეხუთე თავის მეოთხე პუნქტის თანახმად “მთავრობის სხდომა როგორც წესი, დახურულია.” 2004 წელს ამ ჩანაწერით აიკრძალა ჟურნალისტების დასწრება მთავრობის სხდომაზე, რითაც ფაქტობრივად გასაიდუმლოვდა უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მნიშვნელოვანია აღნიშნული შეზღუდვების გაუქმება, რისთვისაც უნდა შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მეხუთე თავის მეოთხე პუნქტში, აგრეთვე მთავრობის სტრუქტურის შესახებ კანონის დებულების 12-ე მუხლის, მე-5 პუნქტში და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - “მთავრობის სხდომა როგორც წესი ღიაა.”

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობის კანცელარია

განხორციელების ვადა: 2013 წლის თებერვალი

- შეიქმნას ეფექტური მექანიზმი მთავრობის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით. მთავრობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ იქნას მთავრობის სხდომის ოქმების, სტენოგრამული ჩანაწერების შემუშავებიდან და დადგენილებების და განკარგულებების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობის კანცელარია

განხორციელების ვადა: 2013 წლის თებერვალი

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლეგიურ ორგანოებში (თვითმართველობები) მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის

მიღების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობისა და კონსულტაციის ფორმატში *სატრენინგო პროგრამების ორგანიზება* (მუნიციპალიტეტებში / სოფლებში), რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას შემდეგ ძირითად საკვანძო თემებზე: საკრებულოს გადაწყვეტილებათა გასაჯაროების ფორმები; გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები; მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების ვადები და პროცედურები; გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები; საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით; ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა, (მათ შორის ბიუჯეტის), განხილვის პროცესში საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა.

პასუხისმგებელი ორგანო: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი

IV. საჯარო ფინანსებისა და ქონების გამჭვირვალე მართვა

შესყიდვების სისტემის გაუმჯობესება:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ღიაობის მიზნით, სისტემაში არარეგისტრირებულ მოხმარებელს უნდა მიეცეს წვდომა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ შესყიდვების გეგმებსა და ანგარიშებზე;
- უნდა შემცირდეს ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების და თვითმმართველი ქალაქების სარეზერვო ფონდებიდან შესყიდვების განხორციელება უნდა მოხდეს გამარტივებული ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაფუძნებულმა კომერციულმა და არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა გამარტივებული ელექტრონული შესყიდვა უნდა განახორციელონ შესყიდვების იმ ნაწილში, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობების და ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სახსრებიდან;
- უნდა შემუშავდეს დეტალური კრიტერიუმები (ჩამონათვალი) გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისათვის.
- სახელმწიფო შესყიდვების ღიაობის მიზნით, ყველა ის ტენდერი, რომელიც შეეხება შესყიდვების შესახებ კანონის 1-ლი მუხლის, 3¹ პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და გულისხმობს საჯარო მომსახურების გაწევას, უნდა ქვეყნდებოდეს შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე ტენდერის გამოცხადებისთანავე.
- განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში.

პასუხისმგებელი ორგანო: კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო / საქართველოს მთავრობის კანცელარია / საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ინფორმირებულობა:

- უზრუნველყოფილ იყოს მოსახლეობისა და დაინტერესებული ჯგუფების მაქსიმალური ინფორმირება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მათ შორის საფუძვლიანი საჯარო განხილვების საშუალებით. კერძოდ, შეიქმნას ადვილად ხელმისაწვდომი ონლაინ და ოფლაინ პლატფორმები, რომ დაინტერესებულ მოქალაქეებს რეგულარულად შეეძლოთ ჩაერთონ ბიუჯეტთან დაკავშირებით გამართულ კონსულტაციებში. უზრუნველყოფილ იქნას ამ მოქალაქეებთან სისტემატური უკუკავშირი და ინფორმირება იმის შესახებ, თუ კონსულტაციების შედეგად მათგან მიღებულმა მოსაზრებებმა შემდგომ რა გავლენა იქონია სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრასა და განხორციელებაზე. აღნიშნული ვალდებულება გაწერილი იქნას შესაბამის სამართლებრივ აქტში (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი).
- რეგულარულად და დროულად გამოქვეყნდეს ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტი და ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ელექტრონული ისე ნაბეჭდი სახით.
- უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის აუდიტორულ დასკვნებთან დაკავშირებით, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა პროგრამული ბიუჯეტის მიზნების შესრულებასთან დაკავშირებით.
- სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შესახებ არსებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები პროაქტიულ რეჟიმში, მათი მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა გამოქვეყნდეს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ სახელმწიფო აუდიტის სამსახური
განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი

აუქციონების, სახელმწიფო პროგრამების/პროექტების, გრანტების და ფინანსური დახმარებების, საინვესტიციო პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

- ინფორმაცია აუქციონების შესახებ არსებითი დეტალების გათვალისწინებით (მაგ. ინფორმაცია საპრივატიზაციოდ გამოტანილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ) პროაქტიულად გამოქვეყნდეს შესაბამის ელექტრონულ რესურსებზე, რათა პოტენციურ მყიდველებს, საერთაშორისო მყიდველების ჩათვლით, აუქციონის ჩატარების თარიღამდე ჰქონდეთ აუქციონის საფუძვლიანი შეფასებისთვის საჭირო დრო და ინფორმაცია;
- ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უზრუნველყონ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გავრცელება როგორც ელექტრონული, ისე სხვა მექანიზმების გამოყენებით (საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან, გამოკითხვა და სხვა).
- სახელმწიფო აუქციონების ელექტრონული სისტემის (www.e-auction.ge) მეტი გამჭვირვალობის მიზნით, გაუმჯობესდეს მისი საძიებო და ინფორმაციის არქივირების სისტემები.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი

- მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია საინვესტიციო პროექტებისა და თვით ინვესტორების შესახებ, ასევე ინფორმაცია კონტრაქტით აღებული ვალდებულებებისა და ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფილ იყოს საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის (ინფრასტრუქტურული პროექტის გეგმა, გარემოზე ზემოქმედების გეგმა, ხარჯთაღრიცხვის ანგარიში) გამჭვირვალობა.

დაევალებულოს შესაბამის უწყებებს აღნიშნული ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნონ საკუთარ ონლაინ რესურსებზე და დადგინდეს ინფორმაციის გამოქვეყნების კონკრეტული ვადები და პროცედურები.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობა

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის მაისი

მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის საქართველოში განხორციელება (EITI)

- მოხდეს „მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის“ (EITI) დანერგვა და განხორციელება საქართველოში.

საქართველოს მთავრობამ უნდა აიღოს ვალდებულება განხორციელოს „მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივა“ www.eiti.org - ეს არის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც ბოლო წლებში მიუერთდა აშშ, ნორვეგია და სხვა მოწინავე ქვეყანა. ამ ინიციატივის მხარდაჭერით საქართველო იღებს ვალდებულებას ყოველწლიურად (წელიწადში ერთხელ) გამოაქვეყნოს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია: საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტად გატარებული ნავთობისა და გაზის მოცულობების და სატრანზიტო და სხვა გადასახადების სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების შესახებ.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო / სს „საქართველოს რკინიგზა“

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი

- www.data.gov.ge -ზე და სხვა საშუალებებით ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია (ფინანსური ანგარიშები, ვალდებულებები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების, დაქვემდებარებული შპს-ების და სააქციო საზოგადოებების შესახებ.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი

V. საჯარო ელექტრონული სივრცის რეფორმირება:

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

ააიპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) მიერ წარმოდგენილი სტანდარტებისა და ჩამონათვალის გათვალისწინებით (დანართი 1) შემუშავდეს ადმინისტრაციული ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განმსაზღვრელი შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობის კანცელარია / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი

- საჯარო ბიბლიოთეკები - ხიდი ინფორმირებულობის გაზრდისა და ელექტრონული მმართველობის განვითარებისკენ

თანამედროვე ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილი საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა საქართველოში არსებული რეგიონალური ბიბლიოთეკების ბაზაზე (2013 წლის განმავლობაში დაიწყება საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს საქართველოს რეგიონებში 5 ცენტრის შექმნას არსებული ბიბლიოთეკის ბაზაზე).

ინიციატივა, რომლის მიზნებია ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ბიბლიოთეკების საშუალებით მოსახლეობასა და მთავრობას შორის კომუნიკაციის გაძლიერება, ბიბლიოთეკარების ტრენინგი ელექტრონული მმართველობის რესურსების და ტექნოლოგიების გამოყენებაში, ინფორმირებულობის გაზრდის კამპანიის იმპლემენტაცია და ელექტრონული მმართველობის პოპულარიზაცია.

პასუხისმგებელი ორგანო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო/ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო/ საქართველოს მთავრობის კანცელარია
განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი - 2013 წლის დეკემბერი

VI. მოქალაქეთა ინფორმირება და ჩართულობა

მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმის შემუშავება და პარტნიორობა ღია მმართველობის ფორუმის შექმნა

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნდა შეიქმნას „პარტნიორობა ღია მმართველობის“ ცალკე გვერდი (www.government.gov.ge/ogp), რომელზეც რეგულარულად გამოქვეყნდება ინფორმაცია, (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე), საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. OGP-ის გვერდი აუცილებლად უნდა იყოს გამოტანილი ცალკე ბანერად საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე. პარტნიორობა ღია მმართველობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე მოქალაქეთა მხრიდან მოსაზრებების, რეკომენდაციების მისაღებად აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული სოციალური ქსელები (მაგ. საქართველოს მთავრობის Facebook-ის გვერდი ან, უშუალოდ პარტნიორობა ღია მმართველობისთვის შექმნილი Facebook-ის გვერდი).

საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება საქართველოს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის შესახებ. სასურველია, საქართველოს პრემიერ მინისტრთან ჩამოყალიბდეს „პარტნიორობა ღია მმართველობის“ ფორუმი. ფორუმი უნდა ემყარებოდეს ღიაობის პრინციპებს, მასში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შექმნილი OGP-ის გვერდის (www.government.gov.ge/ogp) საშუალებით, შესაბამისი სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ. ფორუმზე განიხილება მთავრობის კონკრეტული ნაბიჯები OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ განიხილონ კონკრეტული საკითხები უშუალოდ მთავრობის წარმომადგენლებთან, ასევე მიაწოდონ მათ თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები. ფორუმის დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული უნდა იყოს მთავრობის ვებ-გვერდზე სხდომის გამართვამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე.

პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს მთავრობის კანცელარია

ფორუმის შექმნის ვადა: 2013 წლის მარტი

- მოხდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ პარტნიორობა ღია მმართველობის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და განხორციელებული ნაბიჯების შესახებ

მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდის მიზნით საჯარო კონსულტაციებისა და პერიოდული შეხვედრების ორგანიზება, სარეკლამო რგოლების, სატელევიზიო და რადიო გადაცემების მომზადება (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე).

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობა

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი

- მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინაციაში უნდა შეიმუშაოს საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის კონკრეტული მექანიზმები. ასევე, უნდა გამოაქვეყნოს პარტნიორობა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, რომელიც გაეგზავნება სხვადასხვა დაინტერესებულ სამიზნე ჯგუფებს და მოხდება ანგარიშის საჯარო განხილვები (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, აკადემიური წრეები, სტუდენტები, ფართო საზოგადოება, ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების ენაზე).

პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს მთავრობის კანცელარია / რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის მაისი

- უმცირესობების ენებზე OGP საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით *საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის ბეჭდვითი პროდუქტების (ბროშურები, ლიფლეტები)* მომზადება და გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (მუნიციპალიტეტებში / სოფლებში), რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას.
- *ადგილობრივ მედიასაშუალებებში სპეციალური საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის პროგრამების მომზადება და გადაცემა*, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას OGP საქართველოს სამოქმედო გეგმის შესახებ. გადაცემებში ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა ფართო ჩართულობის ხელშეწყობა.

პასუხისმგებელი ორგანო: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2013 წლის იანვარი- 2013 წლის დეკემბერი

ორგანიზაციები, რომლებიც უერთდებიან რეკომენდაციებს:

1. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
4. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“
5. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
6. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
7. სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
8. მწვანე ალტერნატივა
9. საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
10. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
11. საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია
12. საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი
13. დემოკრატ მესხთა კავშირი
14. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
15. კავშირი „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“
16. ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია (DEA)
17. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
18. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

გიორგი კლდიაშვილი
დირექტორი

საკონტაქტო პირი:
გიორგი კლდიაშვილი
მობ: 599-770100
ოფისი: 2996364
g.kldiashvili@idfi.ge